პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 226 (3203) 22 1966 წ. ნოემბერი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ფეხბურთი 1966

სსრ კავშირის პირველობა

## მატჩის მოგება შეიძლებოდა

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 21 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:0.

„დინამო“: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, შერგელაშვილი, პეტრიაშვილი, გ. სიჭინავა, ხართიშვილი, ასათიანი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი.

„ტორპედო“: კავაზაშვილი, ანდრეიუკი, შუსტიკოვი, სარაევი, ვორონინი, სტაფეროვი, ლენიოვი, სტრელცოვი (ბოროვიკი), შალიმოვი, ბრედნევი, მიხაილოვი.

მსაჯი მ. პინსკი (ხარკოვი).

დუბლიორები — 2:2.

ისეთ დიდმნიშვნელოვან მატჩში, როგორიც გუშინ იყო, არ შეიძლება ხელიდან გაუშვა გოლის გატანის თუნდაც სულ პატარა შესაძლებლობაც კი. ერთი გოლი ბევრს წყვეტს. დინამოელებმა კი ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე საუკეთესო მომენტი და საბოლოოდ იძულებული იყვნენ დასჯერებოდნენ ნულოვან ფრეს და მხოლოდ 1 ქულას.

ანგარიშის გახსნა თბილისელებს დასაწყისშივე შეეძლოთ: პირველივე წუთზე მეტრეველი გავიდა მარჯვენა ფლანგზე და კარის შორეულ ძელთან მიაწოდა ბურთი, რომელსაც წამით ვერ მიასწრო იამანიძემ. ეს მოხდა კავაზაშვილთან ისე ახლოს, რომ კარის ხსნა მას არაფრით შეეძლო.

მასპინძელთა ამ პირველ შეტევებს მოჰყვა 15-წუთიანი შტურმი, რომლის დროსაც თითქმის მთელ „ტორპედოს“ უხდებოდა თავის საჯარიმო მოედანზე ყოფნა. ტონი თავდასხმას მისცა მესხმა. იგი საშუალებას არ აძლევდა მოწინააღმდეგის დაცვას მოეწესრიგებინა თავისი რიგები და ზედიზედ, განუწყვეტლივ გადიოდა გარღვევაზე. დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში მოსკოველები ღრმა ზურგში იმყოფებოდნენ და მხოლოდ ერთხელ გადავიდნენ იერიშზე, რომელიც დამთავრდა მიხაილოვის სახიფათო გასვლით კართან. ურუშაძემ აიღო ძნელი ბურთი.

მაგრამ განვლო ტაიმის ნახევარმა და დინამოელთა თამაშში როგორღაც უცებ იკლო ტემპმა. გუნდი თითქოს მისდაუნებურად აჰყვა მოსკოველებს და სრულიად გაუმართლებლად გადავიდა პოზიციურ მოქმედებაზე. სტუმრები, ცხადია, არ ამწვავებდნენ მდგომარეობას და ხელსაყრელ მომენტს უცდიდნენ, რათა ბურთის გატანის შესაძლებლობა შეექმნათ თავიანთი მთავარი ბომბარდირის — სტრელცოვისათვის.

ასეთი შესაძლებლობა მოსკოველებმა ვერ მიიღეს. მასპინძლებს კი რამდენიმეჯერ შეეძლოთ კარის აღებით დაემთავრებინათ შეტევა. მაგალითად, მე-19 წუთზე მესხი პირისპირ აღმოჩნდა კავაზაშვილთან. მართალია, ფორვარდი ძნელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა მაინც შეიძლებოდა. მეკარემ კი დაასწრო მას და იხსნა კარი.

კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომელსაც შეეძლო ჩვენი გუნდისთვის გამარჯვების მოტანა, შეიქმნა 83-ე წუთზე. გ. სიჭინავასი და მეტრეველის მიერ სწრაფად გათამაშებული კომბინაცია ამ უკანასკნელმა უმძლავრესი დარტყმით დაამთავრა და „ტორპედო“ გოლისაგან იხსნა... ზედა ძელმა.

 რ. ქორიძე.

### გუშინ, გუშინ, ფეხბურთი

გუშინწინ შედგა საკავშირო პირველობის მორიგი მატჩები.

თავიანთ აქტივს კიდევ 2 ქულა შესძინეს ჩემპიონებმა — კიევის დინამოელებმა. მათ ტაშკენტში ითამაშეს ადგილობრივ „პახტაკორთან“ და გაიმარჯვეს პარკუიანის მიერ გატანილი ბურთის წყალობით — 1:0.

გროზნოში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და მინსკის „დინამო“. ანგარიში გახსნა არმიელმა შიმანოვიჩმა, ხოლო საპასუხო ბურთი გაიტანა მცველმა ბაგრიჩმა საკუთარ კარში — 1:1. გადამწყვეტი გოლის ავტორი იყო დინამოელი მუსტიგინი. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა მინსკის „დინამომ“.

„ა“ კლასი I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 22 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 33 | 22 | 9 | 2 | 63—14 | 53 |
| ასკ (როსტოვი) | 36 | 20 | 7 | 9 | 54—44 | 47 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 34 | 17 | 8 | 9 | 53—28 | 42 |
| ცსკა | 35 | 16 | 8 | 11 | 60—45 | 40 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 34 | 15 | 9 | 10 | 52—34 | 39 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 33 | 13 | 12 | 8 | 41—36 | 38 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 36 | 12 | 14 | 10 | 43—34 | 38 |
| „დინამო“ (თბილისი) | 34 | 12 | 13 | 9 | 41—30 | 37 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 34 | 10 | 17 | 7 | 34—29 | 37 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 35 | 15 | 6 | 14 | 32—35 | 36 |
| „დინამო“ (მინსკი) | 36 | 11 | 13 | 12 | 36—39 | 35 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 34 | 12 | 10 | 12 | 28—36 | 34 |
| „არარატი“ (ერევანი) | 36 | 12 | 10 | 14 | 30—45 | 34 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 36 | 10 | 13 | 13 | 29—36 | 33 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 36 | 10 | 8 | 18 | 35—54 | 28 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 35 | 11 | 4 | 20 | 33—48 | 26 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 36 | 4 | 17 | 15 | 18—40 | 25 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 33 | 8 | 8 | 17 | 37—54 | 24 |
| ასკ (ოდესა) | 34 | 1 | 12 | 21 | 16—54 | 14 |

## თამაშის მიწურულში...

ფერგანა. ცენტრალური სტადიონი. 20 ნოემბერი.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:1 (0:0).

„დინამო“: რაკიტსკი, ივანოვი, მუდრიკი (ვშივცევი), შტაპოვი, ცარიოვი, ანიჩკინი, ავრუცკი, ბობკოვი, ევრიუჟიხინი, დუდკო, კოზი.

„ტორპედო“: კვასხვაძე (ანდღულაძე), ლოსაბერიძე, წივწივაძე, ზარია, ძოძუაშვილი, სიამაშვილი, კუტივაძე, წვერავა, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, ასიტაშვილი.

მსაჯი ბ. სტრენცისი (რიგა).

მატჩის დასაწყისი მოსკოველთა საგრძნობი უპირატესობით მიმდინარეობდა. მათ შეძლეს კონტროლის დაწესება მინდვრის შუაგულში, საიდანაც თავდამსხმელები გრძელ, ზუსტ გადაცემებს იღებდნენ და სახიფათო მომენტებსაც ქმნიდნენ, მაგრამ შეტევის დასასრულს მათი დარტყმები არ იყო ზუსტი.

ტორპედოელები მალე შეეჩვიენ მოწინააღმდეგის თამაშის მანერას და თანდათან გამოასწორეს მდგომარეობა. ტაიმის დასასრულს ინიციატივას უკვე ისინი ფლობდნენ.

აქტიურად, ძლიერი იერიშებით დაიწყეს ქუთაისელებმა მეორე ნახევარი. გუნდმა ააწყო თამაში და დინამოელებს სრული დატვირთვით მოუხდათ ბრძოლა თავიანთ საჯარიმო მოედანზე. ერთ-ერთი შეტევა 56-ე წუთზე კარგად დაამთავრა წვერავამ და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და ქუთაისელთა გამარჯვება თითქოს აღარ იწვევდა ეჭვს, მით უმეტეს, რომ გუნდი კვლავ განაგრძობდა იერიშს. მაგრამ ამ მცირე დროში „დინამოს“ თავდამსხმელმა ევრიუჟიხინმა შეძლო ბურთის გატანა ანდღულაძის კარში და თამაში დამთავრდა ფრედ.

ა. დანიუკი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## სპორტული ბრძოლების მთავარსარდლები

იმ ღირსსახსოვარ დღეებამდე, როცა 1967 წლის ზაფხულში მოსკოვის სპორტულ ბაზებზე დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ალამი აღიმართება, წელიწადზე ნაკლები დრო დარჩა. ესოდენ გრანდიოზული შეჯიბრებების სახელმძღვანელოდ ცენტრალური სპორტკავშირის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მსაჯთა მთავარი კოლეგია, მთავარი მდივანი და სპარტაკიადის პროგრამაში შემავალი ყველა 23 სახეობის მთავარი მსაჯები. მათ შორის 6 საერთაშორისო კატეგორიის არბიტრია: ვ. კალოგნომოსი (ტანვარჯიში), ი. კალუგინი (აკადემიური ნიჩბოსნობა), ბ. ლეონოვი (ფრენბურთი), ნ. პროსტიაკოვი (წყალბურთი), ვ. სიმაკოვი (ძალოსნობა), ნ. შარგანოვი (კალათბურთი).

დანარჩენ სახეობათა მთავარი მსაჯები არიან: ლ. აბრამოვი (ჭადრაკი), ი. ბაიკოვი (აფროსნობა), ვ. ვეკშინი (ცხენოსნობა), ვ. გარბერი (მძლეოსნობა), ვ. გუბანოვი (ცურვა), ი. დემშინი (თანამედროვე ხუთჭიდი), ვ. კოპალკინი (სასტენდო სროლა), ს. კოროლიოვი (ველოსპორტი, გზატკეცილი, ერთდღიანი რბოლა), ი. კრივენკო (ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), ა. კუპცოვი (თავისუფალი ჭიდაობა), გ. მაზუროვი (წყალში ხტომა), ე. მოროზოვი (ველოსპორტი, ტრეკი), ნ. ნიკიფოროვ-დენისოვი (კრივი), ო. საპოჟნიკი (ველოსპორტი, გზატკეცილი, მრავალდღიანი რბოლა), ს. სურიახინი (კლასიკური ჭიდაობა), ი. უდრასი (ფარიკაობა) ვ. ფილიპოვი (ტყვიის სროლა), გ. შახნაზაროვი (ჩოგბურთი).

ძირითადი სამსაჯო კოლეგიის მუშაობას უხელმძღვანელებს ცენტრალური სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილე ლ. ხომენკოვი. მას 11 მოადგილე ეყოლება. ერთ-ერთი მათგანი — გ. ელისეევი საწარმოთა კოლექტივების გუნდების მსაჯთა კოლეგიას უმეთაურებს; მეორე — ა. სკვორცოვი — ტექნიკურ სახეობებს გაუძღვება, ხოლო კ. ჟაროვი — მოსწავლეთა სპარტაკიადას, რომელიც ლენინგრადში გაიმართება.

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის მთავარ მდივნად დანიშნულია ვ. მაქსიმოვი.

### გუშინ...

**3 რეკორდი**

თბილისში [illegible] სახელობის დარბაზში დაიწყო საქართველოს პირველობა ძალოსნობაში. [illegible] რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა რ. დათიკაშვილი, რომელმაც სამჭიდში 310 კგ დააგროვა. დიდ წარმატებას მიაღწია ქვემსუბუქი წონის ათლეტმა დ. შანიძემ. მან დაამყარა 3 რესპუბლიკური რეკორდი: აჭიმვაში (110 კგ), აკვრასა (147,5) და სამჭიდში (362,5). აკვრაში შანიძის შედეგი სსრ კავშირის რეკორდის გამეორებაა. დ. შანიძე, ცხადია, საქართველოს ჩემპიონი გახდა.

## როცა 1 ტური დარჩა...

ჰავანა, 20 ნოემბერი. XVII საჭადრაკო ოლიმპიადაში XII ტურის გადადებული პარტიების დამთავრებისას გაირკვა მატჩების საბოლოო შედეგი. აი, ისიც: რუმინეთი — აშშ 2:2, იუგოსლავია — ესპანეთი 3,5:0,5, უნგრეთი — გდრ 2,5:1,5, ბულგარეთი — დანია 2,5:1,5, ისლანდია — ნორვეგია 2,5:1,5, ჩეხოსლოვაკია — კუბა 3:1.

XIII ტურში 28 პარტიიდან 13 დაუმთავრებელი დარჩა, მათ შორის, 3 ჩვენი დიდოსტატებისა, რომლებიც ბულგარეთის გუნდს შეხვდნენ. შესვენებამდე მხოლოდ ბ. სპასკიმ შეძლო მ. ბობოცოვის დამარცხება. აშშ — კუბის მატჩში ჯერჯერობით ანგარიშია 2,5:0,5 ამერიკელთა სასარგებლოდ.

## ბრძოლა დამთავრდა

ჰავანა, 21 ნოემბერი. XVII საჭადრაკო ოლიმპიადის ბოლო, XIII ტურის გადადებული პარტიების დამთავრებამ საბჭოთა მოჭადრაკეების აქტივს კიდევ 2,5 ქულა შესძინა: ტ. პეტროსიანმა მოუგო ნ. მინევს, ლ. პოლუგაევსკიმ — ნ. პადევსკის, ხოლო ვ. კორჩნოი — გ. ტრინგოვის პარტია ყაიმით დასრულდა. ამრიგად, სსრ კავშირი — ბულგარეთის შეხვედრის საბოლოო შედეგია 3,5:0,5 საბჭოთა დიდოსტატების სასარგებლოდ.

ამ ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: აშშ—კუბა 3:1, უნგრეთი — რუმინეთი 2,5:1,5, ჩეხოსლოვაკია — დანია 2:2, იუგოსლავია — ისლანდია 3:1, არგენტინა— ესპანეთი 2,5:1,5, გდრ — ნორვეგია 4:0.

მთავარ ფინალურ ტურნირში საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: სსრ კავშირი — 39,5 ქულა, აშშ — 34,5, უნგრეთი და იუგოსლავია — 33,5 თვითეულს (ბრინჯაოს მედლები უნგრელებს გადაეცათ საჭადრაკო კოეფიციენტების უკეთესობის გამო), არგენტინა — 30, ჩეხოსლოვაკია — 29,5, ბულგარეთი — 28,5, რუმინეთი — 26,5, გდრ—25,5, დანია — 20, ისლანდია — 19, ესპანეთი — 18, ნორვეგია — 14, კუბა — 12.

* * *

სურათზე: ბ. სპასკი და ტ. პეტროსიანი თამაშის დროს.
ფოტო პრენსა ლატინა-საკდესისა.



პარტიისა და მთავრობის დადგენილება — მოქმედებაში!

# ტემპი, საჭირო ტემპი!

როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ თბილისში გაიმართა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც პირველ საკითხად მოისმინა „საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარება და კომკავშირის როლი". მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გაბუნიამ, აფხაზეთის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარემ ჯ. ბუბაზმა, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. სარიშვილმა, სპორტკლუბ „განთიადის" წარმომადგენელმა ი. ხველელიანმა, კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. იმედაძემ, მსოფლიოს ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში გ. სალარაძემ, კომკავშირის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ქემაშვილმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორმა ვ. სამსონაძემ, კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. სანაკოევმა, თბილისის 87-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა შ. კაკაურიძემ და სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. დუმბაძემ.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ო. ჩერქეზია.

აი, რა ითქვა პლენუმზე:

## კომკავშირი — ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზატორი

სსრ კავშირის ფიზკულტურელთათვის 1967 წელი განსაკუთრებით ორი მოვლენითაა აღსანიშნავი — სრულდება ოქტომბრის რევოლუციის 50 წელი და გაიმართება ამ თარიღისადმი მიძღვნილი სპარტაკიადები ჯერ მოძმე რესპუბლიკებში, ხოლო აგვისტოში მოსკოვში — სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ფინალი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საიუბილეო სპარტაკიადამდე თითქმის მთელი წლით ადრე მიიღეს დადგენილება „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ". ეს ისტორიული დოკუმენტი სახავს ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობის კონკრეტულ ამოცანებსა და მათი განხორციელების გზებს. იგი ყველა საბჭოთა მოქალაქეს ავალებს უფრო ენერგიულად, მეტი სიყვარულით მოეპყრან ფიზკულტურასა და სპორტს, საერთო ძალით მოიპოვონ ახალი წარმატებები შინ და საერთაშორისო სარბიელზე. ცხადია, კომკავშირმა ამ ამოცანის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია ერთ-ერთი მოწინავეა სსრ კავშირში. მაშასადამე, იგი რესპუბლიკის მშრომელთა და მოსწავლეთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის ავანგარდშიც უნდა იყოს. ამ მხრივ საყვედური თითქმის არ გვეთქმის, მაგრამ მაინც მეტია საჭირო. კომკავშირული ორგანიზაციები რეგულარულად უნდა მონაწილეობდნენ სახალხო კლუბების — „დილას", „დელისის", „გაზაფხულის", „რიონის", „კოლხიდას" და სხვათა საქმიანობაში, მეტ ინიციატივას უნდა იჩენდნენ ამგვარი ახალი კლუბების შექმნაში; საცხოვრებელი მასივების, საწარმოების, სასწავლებლების სპორტული ბაზების მოწყობაში, მით უმეტეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელთა მილიონიანი არმიის მნიშვნელოვან ნაწილს კომკავშირელები შეადგენენ.

საქართველოს კომკავშირის დამსახურებაც არის ის, რომ შარშან ჩვენმა სპორტსმენებმა 120 საკავშირო და რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს, ხოლო 50 საუკეთესო სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებშია, რომ საქართველოს ათლეტები წარმატებით გამოდიან სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, რომ მარტო შარშან მათ 100 მედალი (აქედან ოქროს — 38, ვერცხლის — 29) მოიპოვეს და წლეულსაც არ შეურცხვენიათ თავი, რომ საქართველოს სპორტკავშირს მეშვიდედ მიეკუთვნა სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშა და საპატიო სიგელი. სიგელით დააჯილდოვეს, აგრეთვე, თბილისისა და ქუთაისის სპორტკავშირები, „კოლმეურნეს", „სპარტაკს", „განთიადს", „ბურევესტნიკს", „ლოკომოტივსა" და „შრომით რეზერვებს" კი შესაბამისი ცენტრალური საბჭოების გარდამავალი დროშები მიეკუთვნათ.

ლენინის მეორე ორდენით საქართველოს დაჯილდოება ყველა უბანზე მნიშვნელოვან გამარჯვებათა სიმბოლოა, ეს არის ჯილდო ჩვენი ფაბრიკებისა და ქარხნების, მინდვრებისა და პლანტაციების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მუშაკებისა, ეს არის ჯილდო ჩვენი კომკავშირელებისა და ფიზკულტურელების, რომელთაც იგი ახალ-ახალი მწვერვალების დასაპყრობად მეტი ენერგიით ბრძოლას, ხალხთა IV სპარტაკიადაში წარმატებას ავალებს.

საორიენტაციო ნაკრები გუნდები ჩვენს რესპუბლიკაში კარგა ხანია შეიქმნა: 23 სხვადასხვა გუნდს კომორგები დაუნიშნეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა როდი შეუდგა საქმეს. კომკავშირულ ორგანიზატორთა დახმარება კი განსაკუთრებით სჭირდებათ მძლეოსნებს, მოცურავეებს, წყალში მხტომელებს, ველოსიპედისტებს და სხვებს. კომორგებსაც მიუძღვით ბრალი, რომ ხალხთა წინა სპარტაკიადაში ამ სახეობებში ჩვენი რესპუბლიკის ბევრ სპორტსმენს თავი მოეჭრა. მაშინ კალათბურთელთა ველორბოლაში ჩვენმა გუნდმა XV, მრავალდღიან ველორბოლაში კი ბოლო, XVII ადგილი დაიკავა. სამწუხაროა, მაგრამ ტურნირში სხვებზე სუსტად სწორედ კომკავშირელები გამოვიდნენ. ამიერკავკასიის მრავალდღიან ველორბოლაში ორგზის გამარჯვებულმა ბირიუკოვმა 76-ე ადგილი დაიკავა, კვინიკაძემ კი ფინიშამდეც ვერ მიაღწია.

მაინცდამაინც არც პერსპექტივაა ნათელი. „ბურევესტნიკის", „შრომითი რეზერვების", „სპარტაკის", საბჭოთა არმიის სპორტკლუბის ჯგუფების უკმარი მუშაობის შედეგად ველოსპორტში მომავალ დინეთა რიცხვი შემცირდა. პოზიციები დათმეს „დინამომ" და „განთიადმა". სისტემატურად მხოლოდ თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და, ნაწილობრივ, ქუთაისის ველოსიპედისტები ვარჯიშობენ.

დასაკვეხნი არაფერი გვაქვს ტყვიისა და სასტენდო სროლაში. სროლის განვითარებაზე ზრუნვა ძირითადად დოსაავს, არმიის სპორტკლუბს, „დინამოს" და მონკავშირს ევალებათ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა უწყებები და სპორტსაზოგადოებები გულხელდაკრეფილი ისხდნენ.

სპორტსაზოგადოებების, უწყებების, ქალაქებისა და რაიონების, საწარმოდაწესებულებების, სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციები რომ უფრო შემოქმედებითად ეკიდებოდნენ საქმეს, ალბათ, მდგომარეობაც გამოსწორდებოდა.

## მოსწავლე ახალგაზრდობას — მეტი ყურადღება!

ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის უმთავრეს უბანს მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობა უნდა შეადგენდეს. ახლა დღის წესრიგშია სკოლების უზრუნველყოფა სასწავლო და კლასგარეშე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის პირობებით. საამისოდ კი, პირველ ყოვლისა, საჭიროა ყველა სკოლის დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური პედაგოგებით. ამ მიზნის გადასაწყვეტად განზრახულია გაიზარდოს ფიზკულტურის ინსტიტუტში მისაღებთა კონტინგენტი. სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, გორის პედინსტიტუტებში გაიხსნას ფიზაღზრდის ფაკულტეტები, ხოლო ფიზკულტურის ინსტიტუტთან და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან — მუდმივმოქმედი კურსები. კომკავშირელთა ინიციატივა და მხარდაჭერა აქაც აუცილებელია.

სკოლებში ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების მეორე მთავარ პირობად პლენუმის მონაწილეებს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები მიაჩნიათ. ამ საქმის მოგვარება კი განსაკუთრებით ჭირს, ვინაიდან სასკოლო შენობების დამპროექტებლებსა და მშენებლებს ხშირად ავიწყდებათ სპორტნაგებობები — დარბაზები და მოედნები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მარტივი ტიპის მოედნების მოწყობა ახალგაზრდებს საკუთარი ძალითაც შეუძლიათ. და აი, აქ პრიორიტეტი კომკავშირს ეკუთვნის.

ჩვენს ქვეყანაში ხშირია მაგალითები, როცა სპორტული ბაზები სწორედ კომკავშირის ინიციატივითა და აქტივობით იქმნება. ავიღოთ, თუნდაც, მოსკოვის ცენტრალური სტადიონი ლუჟნიკში, „ლოკომოტივის" სტადიონი და სპორტის სასახლე თბილისში, დიდი-ჯიხაიშის, ბორჯომის, ვანის, საგარეჯოს, თელავისა და ზოგიერთი სხვა სტადიონი. პლენუმმა გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს კომკავშირელები მხარს დაუჭერენ შემოქმედებელ, ვარკეთილელ და ვაზისუბნელ თანატოლთა სასარგებლო წამოწყებას, აქტიურად ჩაებმებიან ბაზების მშენებლობაში, რითაც შექმნიან ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის მტკიცე საფუძველს.

საქართველოს მოსწავლე-სპორტსმენებს ბევრჯერ უსახელებიათ თავი საკავშირო სარბიელზე. მათ წინაშე ახლაც საპასუხისმგებლო ამოცანა დგას — სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაში საქართველოს დელეგაციის წარმატება ჩვენი მოსწავლეების მაღალ მაჩვენებლებზეცაა დამოკიდებული. მათი შედეგები ხომ საერთო გუნდურ ჩათვლაში შედის!

მოსწავლე-სპორტსმენები სპარტაკიადისთვის გულმოდგინედ ემზადებიან (მეტი მუშაობა სჭირდებათ მძლეოსნებს, ფრენბურთელებს, მოცურავეებს), მაგრამ მხოლოდ ამ დიდ ასპარეზობაში წარმატება როდია ჩვენი ამოცანა, ზრუნვა სამერმისოდაც გვმართებს და გვჯერა, რომ სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები არც ამას დაივიწყებენ.

პლენუმზე ითქვა, რომ ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებები და სპორტკავშირები ზოგჯერ მოსწავლეებს უსასყიდლოდ არ უთმობენ ბაზებს სამეცადინოდ, ან შესაფერის დროს ვერ ურჩევენ. ბევრ საშუალო და სპორტსკოლას არა აქვს საკუთარი სპორტბაზა. ასეა თბილისში, ქუთაისში, აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში. ქუთაისში, მაგალითად, თანამედროვე ტიპის არც ერთი სპორტული ნაგებობა არაა, გარდა ცენტრალური სტადიონისა, რომელსაც მხოლოდ რეკონსტრუქციის მერე მიეცა სასურველი იერი.

## უმაღლესი სასწავლებლები — ჩვენი სპორტის ძირითადი დასაყრდენი

ცხადია, საშუალო სკოლადამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი უმაღლეს სასწავლებელში შედის და ფიზიკური კულტურის სიყვარულიც თან მიაქვს, რათა შემდეგ იქ სრულყოს ტექნიკა. მაგრამ საუკეთესო სპორტსმენები ზოგჯერ სწორედ უმაღლეს სასწავლებლებში „იკარგებიან", იმიტომ, რომ ადგილობრივი ფიზკულტურული და კომკავშირული ორგანიზაციები მათთან მუშაობას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

ამ ბოლო ხანს მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარდა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის აღმავლობისა და სპორტკლუბების განმტკიცებისთვის. მაგრამ საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების სამინისტრო, რექტორატები ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად, სპორტული ბაზების მშენებლობისთვის. სტუდენტთა ქალაქშიც კი, სადაც ათასობით ახალგაზრდა ცხოვრობს, სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა ცუდადაა მოწყობილი.

სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადის მონაწილე საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვი სტუდენტობა იქნება, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მომზადება. სტუდენტ-სპორტსმენთა მუშაობაში ერთგვარი წინსვლის მიუხედავად, დიდი ნაკლოვანებებიც არის. სამარცხვინოა, რომ ხშირად უმაღლესი სასწავლებლების ექიმები ხელს უწყობენ სტუდენტთა თაღლითობას და ყალბი ცნობებით ათავისუფლებენ ფიზკულტურული მეცადინეობიდან. კომკავშირის სიფხიზლე აქაც საჭიროა.

ფიზკულტურისა და სპორტის დონე საგრძნობლად დაბალია საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში, რომელთაც შესაფერი ბაზები არ აქვთ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკა სსრ კავშირში ბოლო ადგილზეა. დავუშვათ, ტექნიკუმებს არ გააჩნიათ სახსრები ბაზების მოსაწყობად, რას ფიქრობს კომკავშირი?! მას ხომ შეუძლია ახალგაზრდობა დარაზმოს და საკუთარი ძალებით მარტივი ტიპის მოედნები მაინც მოაწყობინოს? შეიმჩნევა ისიც, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი ტექნიკუმის დირექტორი თავიდან იშორებს ფიზაღზრდის მომთხოვნ მასწავლებელს, უსაფუძვლოდ ათავისუფლებს სამსახურიდან და მის ადგილზე მაამებელს, „ვაისპეციალისტს" ნიშნავს.

## ასეთი ხელმძღვანელიც ბევრია

კომკავშირის დიდი როლის შესრულება შეუძლია საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესებაში. ამ მხრივ ბევრგან, მართლაც, კარგადაა საქმე. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ სპორტკლუბები „გამარჯვება", „განთიადი", „ფეიქარი", „სინათლე", „კოლხიდა", ბათუმის გემსაშენი და ნავთობგადამმუშავებელი, რუსთავის მეტალურგიული, თბილისის შუშის და სხვა ქარხნები. მაგრამ, აბა, თბილისის კალინინის სახელობის ქარხანაში, მე-6 საავეჯო ფაბრიკაში, მე-10 ავტოსატრანსპორტო კანტორაში, გორის ბამბეულის კომბინატში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაშიც შევიხედოთ. ამ საწარმოებში დღემდე გამოუყენებელია მდიდარი შესაძლებლობები, კომკავშირული ორგანიზაციები კი ნაკლებად ერევიან ფიზკულტურული საბჭოების საქმიანობაში და პრაქტიკულად არ ეხმარებიან მათ.

პლენუმზე ისიც ითქვა, რომ ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლებს ზოგჯერ არაფრად ეჭაშნიკებათ კომკავშირელების დახმარება და საქმიანი შენიშვნები.

ახალი ამბავი როდია, რომ საწარმოებში ფიზკულტურული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის მაღალი დონე შრომის ნაყოფიერებასაც უწყობს ხელს. მაგრამ ბევრგან დირექცია სპორტით დაინტერესებულ ახალგაზრდებს არავითარ დახმარებას არ უწევს, პირობებს არ უქმნის სექციებს ნორმალური მუშაობისთვის. ბევრგან უგულებელყოფენ საწარმოო ტანვარჯიშსაც. კი. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში ტანვარჯიშში მუშა-მოსამსახურეთა მხოლოდ 35 პროცენტია ჩაბმული, თუმცა ეს საწარმოო რესპუბლიკაში მოწინავედ ითვლება ამ მხრივ.

ამ ეტაპზე კომკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებით მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ცურვის, ძალოსნობისა და ველოსპორტის განვითარებაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, ვინაიდან სწორედ ეს სახეობები შედის საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივების საიუბილეო სპარტაკიადაში. მოსკოვში კი მხოლოდ ის წავა, ვინც რესპუბლიკურ სპარტაკიადაში იმარჯვებს.

## ნებისყოფა — გამარჯვების ერთ-ერთი საწინდარი

სპორტსმენთა მორალური მომზადება ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს კოლექტივის წარმატებაში. კომკავშირული ორგანიზაციების ზრუნვის შედეგად ამ მხრივ ცუდად როდი გვაქვს საქმე, მაგრამ მაინც არის მაგალითები, რომ ახალგაზრდული ორგანიზაციები სპორტსმენებთან არავითარ აღმზრდელობით მუშაობას არ ატარებენ. აბა, რით უნდა აიხსნას წყალში მხტომელი ბ. პოლულიახის, ფეხბურთელების — გ. სიჭინავასა და ნ. მაისურაძის და სხვათა საქციელი, რამაც ჩრდილი მათსავე კოლექტივებს მიაყენა. ბოლო ორ-სამ წელიწადში განსაკუთრებით გახშირდა მოსწავლე-სპორტსმენთა მიერ წესრიგის დარღვევის ფაქტები. კომკავშირული ორგანიზაციები უნდა იბრძოდნენ სპორტსმენთა შორის სანიმუშო წესრიგისთვის, საინტერესო, კარგად ორგანიზებული დასვენებისთვის.

პლენუმზე ისიც აღინიშნა, რომ ვაჭრობისა და ფინანსთა სამინისტროები, ცეკავშირი სათანადოდ ვერ ეხმარებიან ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელებს მათ წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში. მაგალითად, ფინანსთა სამინისტრო და ზოგიერთი ორგანიზაცია ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან ბავშვთა და ახალგაზრდული სპორტსკოლების გახსნას, სპორტული ბაზების მშენებლობას, თუმცა ამის ნებას იძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილება „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

• • •

პლენუმმა აღნიშნულ საკითხებზე მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმმა მოისმინა, აგრეთვე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომკავშირული მუშაობის საორგანიზაციო განყოფილების გამგის მ. გვერდწითელის ინფორმაცია კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლაში პირველადი ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

განიხილეს ორგანიზაციული საკითხებიც. პლენუმმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობიდან გაათავისუფლა ს. ხაზეიშვილი და გამოიყვანა იგი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია რ. მეტრეველი.

## საინტერესო თავყრილობა

დღეს და ხვალ თბილისში სპორტული მედიცინის რესპუბლიკური ფედერაცია, საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის სამეცნიერო სამედიცინო საზოგადოება, საქართველოს სპორტკავშირის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო ატარებენ რესპუბლიკურ კონფერენციას, მიძღვნილს საბჭოთა ხელისუფლების დაარსების 50 წლისთავისადმი.

24 ნოემბერს კი ჩვენი დედაქალაქი უმასპინძლებს I საკავშირო სიმპოზიუმის მონაწილეებს, რომლის დღის წესრიგშია „სპორტსმენის გულის რითმის დარღვევის საკითხი".

რესპუბლიკურ კონფერენციასა და სიმპოზიუმში მოხსენებებით გამოვლენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი მეცნიერები.

კონფერენცია ჩატარდება საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49).

## ბოლო გამოცდა

საქართველოს ველოსიპედისტებმა სეზონი ნოემბრის შუა რიცხვებში დაამთავრეს. მათი ბოლო გამოცდა კროსში რესპუბლიკის პირად-გუნდური ჩემპიონატი გახლდათ, რომელიც დელისის მიდამოებში ჩატარდა. ხანგრძლივი არდადეგების წინ გამოთხოვება საგამოცდო ეთიკის ყველა ნორმის დაცვით აღინიშნა: რთული იყო „მასალა", გამომცდელებმაც საკმაო მომთხოვნელობა გამოიჩინეს, მაგრამ ველოსიპედისტთა დიდი ნაწილი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, შეჯიბრებამ სავსებით გაამართლა მოლოდინი.

თავად განსაჯეთ: კროსის ზოგი მონაკვეთი იმდენად მუხანათური იყო, რომ სპორტსმენები მათ ზურგზე მოკიდებული ველოსიპედებით სძლევდნენ. ასეთი გახლდათ სასტარტო და საფინიშო აღმართები — ორკილომეტრნახევრიანი რკალის თავი და ბოლო. საერთოდ, დელისის ტრასა სსრ კავშირში ერთ-ერთი საუკეთესოა, ხოლო სირთულის მიხედვით აღემატება კიდეც ყველას. ცხადია, ასეთ ძნელ კროსში გამარჯვება ორჯერ უფრო საპატიოა.

ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლის სტარტი 3 ქალაქის 23 ველოსიპედისტმა აიღო. აქ იყვნენ თბილისის I და II გუნდების, აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენლები... ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო თბილისის I გუნდის მრბოლელმა ვ. კეხბამ. მას კვალდაკვალ აედევნა აფხაზეთის გუნდის წევრი რ. გუძი. ლიდერებმა ასეთი თანმიმდევრობით იარეს 8 წრე, შემდეგ კი მოულოდნელი მანევრით მეორე ადგილზე გადაინაცვლა თბილისის I გუნდის წევრმა მ. ქანთარიამ. ფინიშის ხაზი ყველაზე ადრე ვ. კეხბამ გადაკვეთა. ქანთარია II ადგილზე გავიდა, ხოლო გუძი — III.

ი. ძიძიგური.

• • •

მოგვყავს ჩემპიონატის ტექნიკური შედეგები:

**პირადი ჩათვლა:** 1. ვ. კეხბა — 42.06, 2. მ. ქანთარია — 42.17, 3. რ. გუძი — 42.37.

**გუნდური ჩათვლა:** 1. თბილისი I (ვ. კეხბა, მ. ქანთარია, გ. ყაველაშვილი — 45.53) — 2:10.16,0, 2. აფხაზეთი (რ. გუძი, ნ. დემჩუკი — 44.43, ა. მალაიჩუკი — 46.06) — 2:13.26,0, 3. აჭარა (ა. მოგუსევი — 44.29, ა. ვლასენკო — 44.58, ო. ნიშნიანიძე — 45.10).

## ვეტერანთა IX ტრადიციული...

ამ დღეებში დამთავრდა თბილისის ვეტერან ჩოგბურთელთა IX ტრადიციული საქალაქო პირველობა. ასპარეზობაში მონაწილეობდა 25 სპორტსმენი, მათგან ყველაზე უმცროსი 40 წლის იყო, უფროსი, ბავშვობიდანვე ჩოგბურთის მოტრფიალე იან გომერი კი — 67 წლისა.

წლევანდელი ჩემპიონატი ორ ჯგუფად გაიმართა. I ჯგუფის ერთეულებში ყველას აჯობა თბილისის საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსმა ლ. მარქაროვმა. მანვე თბილისის უნივერსიტეტის დოცენტ გ. გიგოლოვთან ერთად წყვილთა ასპარეზობაში მოიპოვა პირველობა.

II ჯგუფში გაიმარჯვა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგემ დ. თაქთაქიშვილმა.

წყვილთა შეჯიბრებებში ყველა ჩამოიტოვეს თბილისის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და სისტემათა მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიების გამგეებმა ვ. ბარანოვმა და ო. კოლესნიკოვმა.

# ეწვიეთ პოლონეთს... თბილისში!

პოლონეთის სავაჭრო ატაშეს გ. მიშტელიას რომ ჰკითხოთ, მისმა თანამემამულემ, მოფარიკავე ეგონ ფრანკემ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში იმიტომ გაიმარჯვა, რომ ჩინებული იარაღი და ტანსაცმელი ჰქონდა.

პოლონელი სტუმარი იქვე დასძენს, ჩვენებური იარაღის საუკეთესო ხარისხს საბჭოთა კავშირის მთელი ნაკრები და, რა თქმა უნდა, ქართველი გურამ კოსტავაც დაადასტურებსო.

მართლაც, ტოკიოს ოლიმპიადაში ჩვენი მოწინავე მოფარიკავეები ხომ პოლონური იარაღითა და ფორმით იბრძოდნენ და გაიმარჯვეს კიდეც — ოქროს მედლები დაისაკუთრეს!

მაგრამ პოლონეთის სპორტული ნაწარმი მარტო მოფარიკავეთათვის როდია განკუთვნილი. ამას ადასტურებს ამ ქვეყნის სამრეწველო საქონლისა და ავეჯის გამოფენა, რომელიც ორიოდე დღის წინათ გაიხსნა ჩვენს დედაქალაქში, საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარ პავილიონში.

მძლეოსანთა, მოკრივეთა, ძალოსანთა, ფრენბურთელთა, კალათბურთელთა, ფეხბურთელთა აქ წარმოდგენილი აღჭურვილობა საუკეთესო ხარისხისაა და სპორტულ ფედერაციათა ყველა საერთაშორისო სტანდარტს პასუხობს.

— ასეთ ბურთს დარტყმაც არ უნდა, თავისთავად შეგორდება კარში! — ხუმრობს სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე, რომელიც ძველ თანამებრძოლთან, ფეხბურთის ცნობილ ვეტერან მ. ბერძენიშვილთან ერთად მოვიდა გამოფენაზე.

მართლაც, მნახველის ყურადღებას იქცევს „ზორცას" მოდელის შავ-თეთრი ბურთები, რომლებიც განსაკუთრებით გამოსადეგია ხელოვნური განათების პირობებში თამაშისას და ტელევადაცემათა დროს.

იქვეა გამოფენილი სხვადასხვა „კალიბრის" სატყორცნი ბადროები. გამოფენაზე მათ მაღალი შეფასება მისცა ისეთმა სპეციალისტმა, როგორიცაა სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე.

მოკრივის ხელთათმანები, მოტომრბოლელთა ჩაფხუტები, პლასტმასის შიპებიანი ბუცები, ბადმინტონისა და მაგიდის ჩოგბურთის კომპლექტები, სხვადასხვა ზომის ველოსიპედები, სამთო-სათხილამურო სპორტის ცნობილი კურორტის ზაკოპანეს ფაბრიკაში დამზადებული თხილამურები სლალომისთვის, მსუბუქი, ნაირფერი კარვები ტურისტებისათვის, საძილე ტომრები, „ალბატროსის" ტიპის გასაბერი ნავები და დასაკეცი, იალქნიანი ბაიდარა „ნეპტუნი", — ყოველივე ეს შესანიშნავი შესახედაობითა და მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

ერთი სიტყვით აქ ყოველი სპორტსმენი თუ სპორტის მოყვარული ნახავს რაიმე საინტერესოს. სწორედ ამისთვის უზრუნია პოლონეთის საგარეო ვაჭრობის საწარმოს, მრავალი საერთაშორისო ბაზრობისა და გამოფენის მონაწილე ფირმა „უნივერსალს", რომლის ნაწარმი (15.000 დასახელება) მსოფლიოს 120 ქვეყანაში იყიდება. შარშან „უნივერსალმა" გამოფენა მოაწყო მოსკოვსა და კიევში, წლეულს — კვლავ მოსკოვში, დონეცკსა და ვოლგოგრადში.

თბილისის გამოფენაზე იგი მხოლოდ სპორტით როდი შემოიფარგლა. საყურადღებოა პოლონური ავტომატი „სტერეო-3 დ", რადიომიმღებები, ტელევიზორები, მაგნიტოფონები, მაცივრები, გაზის ქურები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვ.

გამოფენაზე წარმოდგენილია, აგრეთვე, პოლონური ფირმა „პაგედი". იგი თანამედროვე სტილის ავეჯს გვაჩვენებს.

გამოფენა, რომელიც [illegible] დიდ ინტერესს [illegible] გრძელდება.

ო. ნოზაძე.

• • •

სურათებზე: მაყურებლები ათვალიერებენ სპორტულ პროდუქციას.

ფოტო ა. ვაჩიანისა.



## რეპორტაჟი გამოფენიდან





---

ჭადრაკი

## ნ. ალექსანდრია უტევს

XXVI ჩემპიონატი

**კიევი, 21 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის III ტურში არ შედგა მ. რანიკუ — ც. კახაბრიშვილის შეხვედრა. შესანიშნავად ითამაშა ნ. ალექსანდრიამ მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ე. ბიკოვასთან. თბილისელმა გარკვეული უპირატესობაც მიიღო, მაგრამ მოსკოველმა შეძლო პარტიის გადადება, თუმცა მას ყაიმის ძალზე მცირე შანსი აქვს. წარუმატებლად დაიწყო ჩემპიონატი ე. კაკაბაძემ, რომელიც ამჯერად ტ. ზატულოვსკაიასთან დამარცხდა. ა. ჩაიკოვსკაიამ მძიმე პოზიციაში გადადო პარტია ე. რუბცოვასთან.

აი, სხვა შედეგებიც: თ. ბოიახჩანი — ლ. იდელჩიკი 0:1, თ. გოლოვეი — ტ. მოროზოვა 0,5:0,5, ა. კისლოვა — ვ. კოზლოვსკაია 0:1. 3 პარტია გადაიდო.

IV ტურში ყაიმით დაკმაყოფილდნენ ც. კახაბრიშვილი — ე. კაკაბაძე. ნ. ალექსანდრია კომბინაციურ სტილში უტევდა თ. გოლოვეის. კრიტიკულ მომენტში თბილისელმა სტუდენტმა მხედარი შესწირა, მაგრამ თამაშისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის გამო პარტია გადაიდო. ალექსანდრიამ უნდა გაიმარჯვოს. წაგების საფრთხის წინაშეა ა. ჩაიკოვსკაია ტ. ზატულოვსკაიასთან გადადებულ პარტიაში.

მოგვყავს დანარჩენი შეხვედრების შედეგები: თ. ბოიახჩანი — მ. რანიკუ 1:0, ე. რუბცოვა — ე. ბიკოვა 0:1, ვ. კოზლოვსკაია — ვ. ტიხომიროვა 1:0, კ. სკეგინა — ნ. ვოიციკი 0:1, ლ. იდელჩიკი — ნ. მედიანიკოვა 0,5:0,5. 2 პარტია არ დამთავრებულა.

4 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: ლ. იდელჩიკი (კიევი) — 3,5 ქულა, ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — 3 (1 გადადებული), ტ. მოროზოვა (ლვოვი) — 2,5 (1).

**ტ. კრიუკოვა,**
**საერთაშორისო არბიტრი, სსრ კავშირის XXVI ჩემპიონატის მსაჯი.**

## ლიდერები გამოჩნდნენ

**ბაქო, 20 ნოემბერი (ჩვენი სპეც. კორ.).** ამიერკავკასიის უძლიერეს მოჭადრაკეთა ტურნირის II ტურში მხოლოდ 3 პარტია დამთავრდა. თ. გიორგაძე შემტევ სტილში ეთამაშა ერევნელ ოსტატ კ. გრიგორიანს და დაამარცხა იგი. თბილისის ჩემპიონმა ი. ჩიქოვანმა მოუგო ბაქოელ ფ. შახტახტინსკის, ხოლო თ. ლომაიამ — ა. ბოკუჩავას.

სხვა პარტიები გადაიდო.

III ტურში ყველაზე ადრე, ყაიმით დამთავრდა თ. გიორგაძე — ნ. გაფრინდაშვილის შეხვედრა. „საზავო ხელშეკრულების" დადებით დაცილდნენ ერთმანეთს გ. მაჭავარიანი — თ. ლომაია და ა. ბუსლაევი — თ. პავლენკო (ბაქო). „შავი დღე" გაუთენდათ ძმებს ა. და ფ. შახტახტინსკებს (ბაქო). პირველი დამარცხდა ერევნელ ოსტატ ლ. გრიგორიანთან, მეორე — აზერბაიჯანის ჩემპიონ ვ. ბაგიროვთან.

2 პარტია გადაიდო.

## გუშინ...

გადადებული პარტიების დამთავრებისას გაფრინდაშვილმა დაამარცხა პრივოროცკი, დემირხანიანმა — ჩიქოვანი, ლ. გრიგორიანმა — ბუსლაევი. ყაიმით დასრულდა პარტიები: კ. გრიგორიანი — პრივოროცკი, ბოკუჩავა — პავლენკო, მაჭავარიანი — ლ. გრიგორიანი, ბუსლაევი — ა. შახტახტინსკი, დემირხანიანი — ბაგიროვი, პავლენკო — მაჭავარიანი და ბოკუჩავა — დემირხანიანი.

---

# ისინი კვლავ აბსოლუტური ჩემპიონები არიან

**ტაშკენტი, 20 ნოემბერი.** ნ. კუჩინსკაია და ვ. ლისიცკი — აი, 1966 წლის სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონები ტანვარჯიშში. „ახალბედებს" მათ ვერ უწოდებ: 18 წლის ლენინგრადელმა სტუდენტმა ეს მაღალი წოდება შეინარჩუნა, ხოლო მოსკოველმა არმიელმა 1964 წლის წარმატება გაიმეორა.

სხვადასხვა გზით მივიდნენ ისინი საპატიო კვარცხლბეკთან. ლისიცკიმ ვაჟკაცურად ჩაატარა უშეღავათო „დიალოგი" ბოლო აბსოლუტურ ჩემპიონთან, ტაშკენტელ თანაკლუბელ ს. დიომიდოვთან. მათი ბრძოლა „სალიდერო რბოლას" ჰგავდა. პირველი დღის შემდეგ მოსკოველი 0,4 ქულით იყო წინ. ეს „რბოლა" მხოლოდ ფინიშთან დამთავრდა, როცა დიომიდოვმა ხელი გაუწოდა ლისიცკის და გამარჯვება ისე მიულოცა, რომ მეტოქის შეფასებას ღერძზე არც კი დაელოდა.

ღერძზე გამოსვლა (მოსკოველი ამ სახეობაში სსრ კავშირის ჩემპიონია) დღევანდელი შეჯიბრების გვირგვინი გახლდათ. მსაჯებმა ახალ აბსოლუტურ ჩემპიონს ტურნირის უმაღლესი შეფასება — 9,85 ქულა მისცეს. ამრიგად, ლისიცკიმ 115,5 ქულა დააგროვა და დიომიდოვი 0,3 ქულით ჩამოიტოვა. III პრიზიორი — მოსკოველი ვ. კარასევი საგრძნობლად ჩამორჩა ჩემპიონურ დუეტს (112,8 ქულა).

ნ. კუჩინსკაია, რომელიც პირველი დღის შემდეგ ლიდერობდა, დამაჯერებლად მიიწევდა ფინიშისკენ. თავისუფალი ვარჯიშის შესრულებისას „იოშლიკის" ხარბიელზე მოსული 3000 მაყურებელი მქუხარე ოვაციებით აცილებდა მას. კუჩინსკაიამ 9,75 ქულა დაიმსახურა.

საბოლოო ჯამში ლენინგრადელმა სტუდენტმა 76,4 ქულა დააგროვა. ვიტებსკელი ლ. პეტრიკი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა 75,45 ქულით. ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა კიეველმა პ. ასტახოვამ. ეს იყო გამარჯვება ერთადერთი ვეტერანი სპორტსმენისა, რომელმაც გაუძლო ახალგაზრდების შემოტევას.

იუნიორებში სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ არმიელი ტანმოვარჯიშე ე. ბესედინა და ვ. კომისაროვი („დაუგავა").

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დინამოელებმა, II ადგილზე არიან არმიელი ტანმოვარჯიშეები, ხოლო III — „ტრუდის" სპორტსმენები.

საუკეთესო ტანმოვარჯიშეებს გადაეცათ ორი ათეული პრიზი. უზბეკური ხან-ატლასის ტანსაცმელი და ამოქარგული ფესი, როგორც რეგალიები ყველაზე ლამაზი ტანმოვარჯიშე ქალისა, გადაეცა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელს ზ. დრუჟინინას (ეს კონკურსი ჟურნალისტებმა ჩაატარეს).

# თბილისის კვარტეტი — პირველი!

„სპორტის დედოფლის" თაყვანისმცემლებში დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი ქვეყნის სპორტულ კალენდარში ახალი ტურნირის — გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე ესტაფეტებში I საკავშირო შეჯიბრების შეტანამ. სტარტზე მხოლოდ ქალაქების ნაკრები გუნდები უნდა გამოსულიყვნენ. ეს კი ნათელ პერსპექტივას უსახავდა ახალგაზრდობას. სამზადისი თითქმის მთელ წელიწადს გაგრძელდა და აი, გასულ შაბათს კისლოვოდსკში ტურნირიც დაიწყო.

პროგრამაში იყო ყველა ესტაფეტა. შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა დიდი ქალაქის 600-ზე მეტი მძლეოსანი გამოვიდა. პირველ დღეს წინასწარი გარბენები მოეწყო. ფინალში მხოლოდ საუკეთესონი გადიოდნენ, რამაც ძალზე დაძაბა ბრძოლა და 2 საკავშირო და 20-ზე მეტი რესპუბლიკური და საქალაქო რეკორდი შევა.

პირველი წარმატება ბაქოელმა სპრინტერებმა იზეიმეს: ი. კონოვალოვის აღზრდილებმა 4×100 მეტრზე ვაჟთა ესტაფეტის წინასწარ გარბენში 41,1 აჩვენეს და აზერბაიჯანის ახალი რეკორდი დაამყარეს.

ამას საკავშირო მიღწევა მოჰყვა. 3×800 მეტრზე ქალთა რბენაში რიგის გუნდმა ისახელა თავი. როგორც ჩანს, ლატვიელთათვის ამაოდ არ ჩაუვლია თბილისში ჩატარებულ შეკრებასა და საქართველოს ათლეტებთან მატჩს. ა. ალკსნემ, ა. ვეისემ და ი. სოლდარემ ესტაფეტა ფინიშთან 6 წუთსა და 35,6 წამში მიიტანეს, რაც ჩვენი ქვეყნის საკლუბო გუნდების ახალი რეკორდია.

მეორე საკავშირო მიღწევა მოსკოვის ვაჟთა კვარტეტმა დაამყარა 4×200 მეტრზე. ა. ლებედევმა, ა. ტარასიანმა, ა. ფიმანოვმა და ს. აბოლოხინმა 1.26,7 აჩვენეს. ფინალში მათ ეს შედეგი კიდევ 0,5 წამით გააუმჯობესეს.

მეტად საინტერესო იყო ვაჟთა ესტაფეტა 4×800 მეტრზე. პირველ გარბენში ყველას აჯობეს ლენინგრადელებმა — 7.41,4. მეორე გარბენში კი...

აქ დიდი სენსაცია მოხდა. ბოლო წლებში არავის სმენია, რომ საქართველოს საშუალო მანძილებზე ნიჭიერი მორბენლები ჰყოლოდა. ამიტომაც თბილისელთა კვარტეტს ანგარიშს არავინ უწევდა, მაგრამ იგი მოსკოვის, როსტოვისა და სხვა მძლეოსნური ქალაქების გუნდებს ებრძოდა და... გაიმარჯვა კიდეც. ლოგუნოვი, კორნეიჩუკი და შულგინი თავიანთ ეტაპებზე არ ჩამორჩნენ მეტოქეებს, მეოთხე ეტაპზე კი ტაქტიკურად მახვილგონივრულად ირბინა ი. ზეინან-ოღლიმ. იგი ჯერ ერთბაშად გაექცა მეტოქეებს, მერე ჩამორჩა და მათ ზურგს უკან „მიიმალა", ბოლო სწორზე კი ტემპს უმატა და გაოცებულ მეტოქეებს, ასე ვთქვათ, გაექცა. ჩვენი გუნდის დრო — 7.46,4 — საქართველოს ახალი რეკორდია. გარბენში II იყო მოსკოვის ნაკრები — 7.46,8.

გუშინწინ გაიმართა ფინალები. თბილისის კვარტეტმა 4×800 მეტრზე საბოლოოდ III ადგილი და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. მთელი ტურნირის მთავარი სენსაცია კი მაინც თბილისელი ქალების (ვ. ქუთათელაძე, გ. კონონენკო, ლ. იეღუვა, თ. როჟმანოვა) გამოსვლა იყო. ესტაფეტაში 4×100 მეტრზე მათ 47,2 წამი აჩვენეს. გუნდმა პირველი ადგილი და „სოვეტსკი სპორტის" პრიზი, ხოლო სპორტსმენებმა ოქროს მედლები დაისაკუთრეს.

ეს შესანიშნავი საქართველოს ახალი რეკორდია და 0,7 წამით აღემატება ძველს, რომელიც ამავე ოთხეულმა ამას წინათ დაამყარა თბილისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თქვენი გუნდის გვენახოს!

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი დ. ლოლაძე შეხვდა სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრების მწვრთნელს ა. ტარასოვს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.

● როდის მოიყრის თავს საბჭოთა კავშირის ნაკრები საწვრთნელ შეკრებაზე და როგორია მისი გეგმები?

— გუნდი 23 ნოემბერს შეიკრიბება. 26 ნოემბერს კი ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს უნდა შევხვდეთ. შეიძლება უცნაურადაც მოგეჩვენოთ, რომ პირველ პასუხსაგებ შეხვედრამდე სამი დღით ადრე ვიკრიბებით. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მომავალი ნაკრების ყველა მოთამაშე ჯერ თავის საკლუბო გუნდში გამოდის, — ჩვენთვის მთავარია საკავშირო ჩემპიონატი.

● ახალი მოთამაშეები თუ შევლენ ჩვენი ქვეყნის წლევანდელ ნაკრებში?

— ამაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. ჩვენ გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშეები, რომლებიც, თუ ეს საჭირო იქნა, წარმატებით შეცვლიან ვეტერანებს. საწყენია, რომ გუნდიდან წავიდა საუკეთესო ჰოკეისტი კ. ლოკტევი. თქვენ, ალბათ, იცით, რომ იგი ახლა მწვრთნელად მუშაობს ბელგრადში, — „პარტიზანს“ ავარჯიშებს. ნაკრების ბირთვი ძირითადად უცვლელია. თუმცა ყველაფერს სეზონი გვიჩვენებს.

● ამ ბოლო ხანს ხშირად ლაპარაკობენ საბჭოთა ჰოკეისტების შესაძლებელ შეხვედრებზე კანადის პროფესიონალებთან. რომელი გუნდი დაიცავს ჩვენი ქვეყნის ღირსებას, ნაკრები თუ რომელიმე საკლუბო კოლექტივი?

— როგორ გითხრათ... ეს საკითხი ჰოკეის საკავშირო ფედერაციამ უნდა გადაწყვიტოს. მე კი ვფიქრობ, თუ კანადელები ჩვენს წინააღმდეგ თავიანთ ნაკრებს გამოიყვანენ, ჩვენც, რასაკვირველია, ასევე მოვიქცევით.

● თუ შეიძლება დაგვისახელეთ თქვენი საყვარელი სპორტის სახეობა. რა თქმა უნდა, ჰოკეის არ ვგულისხმობთ.

— რასაკვირველია, ფეხბურთი. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, 1937 წელს, მე ვავარჯიშებდი ზაგორსკის ფეხბურთელთა გუნდს. სპორტის ოსტატობა ფეხბურთში მომენიჭა და, საერთოდ, იგი ძვირფასია ჩემთვის იმიტომ, რომ მას მივუძღვენი ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები. სწორედ ფეხბურთი დამეხმარა მე, და არა მარტო მე, მიმეღწია წარმატებისთვის ჰოკეიში. ეს ორი თამაში ძალიან ახლოა ერთმანეთთან. ერთის წარმატებები დაკავშირებულია მეორესთან და პირიქით.

● თქვენ მრავალი საინტერესო მატჩი გინახავთ. მათგან რომელი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

— მინდა აღვნიშნო ჩეხოსლოვაკიის ლტც-სა და მოსკოვის ნაკრების შეხვედრა 1948 წელს. ეს იყო საბჭოთა ჰოკეისტების პირველი საერთაშორისო მატჩი. ჩვენ მოვუგეთ ჩეხოსლოვაკიის გუნდს, რომელიც იმ დროს მსოფლიო ჩემპიონი იყო.

ჩემს მეხსიერებაში დიდხანს დარჩება ორი დიდი პროფესიული გუნდის — კანადის „ტორონტო მეიპლ ლიფსისა“ და „დეტროიტ რედ უინგსის“ მატჩი. ეს იყო დიდი ჰოკეი. ამ თამაშით შეიძლებოდა ჰოკეის შესწავლა.

● დიდი ოთხეულის გარდა, ვინ მიგაჩნიათ საბჭოთა ნაკრების სახიფათო მეტოქედ?

— ჩვენ ვიცით, რომ თამაში ყოველ გუნდთან ძნელი იქნება, ვინაიდან მსოფლიო ჩემპიონებთან შეხვედრისთვის ყველა კოლექტივი განსაკუთრებული მონდომებით ემზადება და ყოველი მათგანი გამარჯვებისკენ ისწრაფვის. ამას გარდა, როგორც თავად ამბობენ, ზოგს უკვე მობეზრდა საბჭოთა ჰიმნის მოსმენა ჩვენი გუნდის გამარჯვებისას. ისინი არაფერს დაზოგავენ საბჭოთა ნაკრების დამარცხებისთვის.

ჩეხოსლოვაკიის, კანადისა და შვეციის გუნდების გარდა, ჩვენთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენენ ფინეთის ნაკრები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნიჭიერი კოლექტივი, რომელმაც წინა ჩემპიონატში დაამარცხა შვეციის ძლიერი გუნდი — 4:1.

● რას გვეტყოდით ჰოკეის განვითარების პერსპექტივებზე საქართველოში.

## „ლელო“ ინტერვიუ

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჰოკეი საქართველოში ფართო განვითარებას ჰპოვებს. საამისოდ მრავალი საწინდარი არსებობს. პირველ ყოვლისა კი ის დიდი ტემპერამენტი და გატაცების უნარი, რაც აუცილებელია ჰოკეისთვის და რაც ქართველ სპორტსმენებს არ აკლიათ. ამას გარდა, ჰოკეი, როგორც სპორტის არც ერთი სხვა სახეობა, მაქსიმალურად ავლენს სპორტსმენის ინდივიდუალურ ოსტატობას. ქართველ სპორტსმენთა უმრავლესობა კი სწორედ ამ ღირსებით გამოირჩევა. ამის ნათელი დადასტურებაა ქართველ ფეხბურთელთა და კალათბურთელთა მიღწევები.

უახლოეს მომავალში, ალბათ, ჩვენი ქვეყნის სარბიელზე გამოჩნდება მზიური საქართველოს მაღალტექნიკური გუნდი. მაგრამ ქართველ ჰოკეისტებს მრავალი სიძნელის გადალახვა მოუხდებათ. რაც მთავარია, მათ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყონ, ჯერ ციგურებზე სრიალი უნდა ისწავლონ. ეს კი უდიდეს მოთმინებასა და ჟინს მოითხოვს. თუ ცსკა დღეში 4-5 საათს ვარჯიშობს, თქვენებს 8-10 საათი მაინც დასჭირდებათ. ესოდენ დიდმა დატვირთვამ შეიძლება ბევრს აალებინოს ხელი ვარჯიშზე.

ამას გარდა, თანამედროვე ჰოკეის დღითიდღე ერევა უხეშობა. უხეში, ძალისმიერი ბრძოლის პირობებში ქართველ ჰოკეისტებს შეიძლება უღალატოს მათთვის დამახასიათებელმა აზარტმა და ტემპერამენტმა. ამიტომ უნდა გაითვალისწინონ, რომ სპორტული ოსტატობის განმტკიცებასთან ერთად, დიდი მოთმინებისა და თავშეკავების გამომუშავებაც იქნება საჭირო. უამისოდ არ შეიძლება იყო ნამდვილი ჰოკეისტი.

დასასრულს, გაზეთ „ლელოს“ მკითხველებს და ქართველ ჰოკეისტებს საბჭოთა კავშირის 13-გზის ჩემპიონთა სახელით ვუსურვებ ჰოკეის განვითარების მაღალ ტემპებს საქართველოში. დაე, ჩადგეს ქართველ ჰოკეისტთა კოლექტივი ჩვენი სამშობლოს მოწინავე გუნდების რიგში!

* * *



სურათზე: ცსკა-ს ჰოკეისტთა გუნდი.

## რას ფიქრობენ ექსპერტები?

ჩოგბურთის სეზონი მიიწურა. ბევრი სპეციალისტი ასახელებს სამყაროს საუკეთესო ჩოგბურთელებს წლევანდელი შეჯიბრებების მიხედვით.

აი, ევროპის 10 უძლიერესი ჩოგბურთელის სია, რომელიც ბელგიის ცნობილმა გაზეთმა „სპორტმა“ (ბრიუსელი) გამოაქვეყნა: 1. სანტანა (ესპანეთი), 2. გულიაში (უნგრეთი), 3. ბუნგერტი (გფრ), 4. მეტრეველი (სსრ კავშირი), 5. დარმონი (საფრანგეთი), 6. პიეტრანჯელი (იტალია), 7. პილიჩი (იუგოსლავია), 8. ჟოფრე (საფრანგეთი), 9. გისბერტი (ესპანეთი), 10. ოკერი (ჰოლანდია).

კატოვიცეს „სპორტის“ მიმომხილველი სტეფან გოსტრომსკი მეტრეველის წლევანდელი წარმატებებიდან გამოყოფს ორს: გამარჯვებას სკანდინავიის ღია ჩემპიონატში და I ადგილს საკავშირო ჩემპიონატში.

ჩოგბურთი

## ბრაზილიელები რევანშს ამზადებენ

როგორც ფრანგულ ჟურნალ „მირუარ დიუ ფუტბალის“ სამხრეთამერიკელი კორესპონდენტი იუწყება სან-პაულუდან, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია გაისად ევროპასთან აპირებს რევანშის აღებას: ბრაზილიაში მოეწყობა ორი ტურნირი, რომლებშიც ევროპის მოწინავე გუნდები მიიღებენ მონაწილეობას.

ერთ შეჯიბრებას დაერქმევა „დედაქალაქთა ტურნირი“ და მასში გამოვლენ რიო-დე-ჟანეიროს, სან-პაულუს, ლისაბონის, მილანისა და ბუდაპეშტის ნაკრები გუნდები. მეორე ასპარეზობის სახელი იქნება „ჟიულ რიმეს თასის მფლობელთა ტურნირი“. აქ ითამაშებენ ურუგვაის, იტალიის, გფრ-ის, ბრაზილიისა და ინგლისის ნაკრები გუნდები.




თუ გსურთ „ლელო“ გაისად 1 იანვრიდან მიიღოთ, უნდა იჩქაროთ: ხელმოწერა მთავრდება 25 ნოემბერს.

„სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში ჩვენი გაზეთი საცალო ვაჭრობით შეზღუდული რაოდენობით გაიყიდება, ხოლო ხელმოწერა შეუზღუდავია.

ხელმოწერის წლიური ფასია 7 მან. და 80 კაპ., 6 თვით — 3 მან. და 90 კაპ., 3 თვით — 1 მან. და 95 კაპ.

## ფეხბურთი
# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

(საკ. ინფ.).

### თამაში მოიგო ბ. ჩარლტონმა

ინგლისის ჩემპიონმა „ლივერპულმა“ სეზონი ცუდად დაიწყო, მაგრამ ბოლო ტურებში საგრძნობლად უმატა თამაშს და ლიდერებში აღმოჩნდა. შაბათს, ჩემპიონატის XVII ტურში, იგი შინ შეხვდა „ლიდს იუნაიტედს“. პირველ ნახევარში ლივერპულელთა მცველმა ლოულერმა ანგარიში გახსნა — 1:0. შესვენების შემდეგ „ლიდსის“ დაცვამ, რომელსაც მეთაურობდა ჯ. ჩარლტონი, კიდევ 4 გოლი გაუშვა ტომპსონის, სენტჯონის და სტრონგის (2) დარტყმების შემდეგ. ჩემპიონმა გაიმარჯვა — 5:0.

საუთჰემპტონში ამავე სახელწოდების ადგილობრივი გუნდი შეხვდა „მანჩესტერ იუნაიტედს“. 30-ე წუთზე ბ. ჩარლტონმა მანჩესტერელები დააწინაურა (1:0), მაგრამ შესვენებამდე მასპინძელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა დეივისმა ანგარიში გაათანაბრა. ასევე მწვავე და შეუპოვარი იყო მეორე ტაიმიც. და აი, ბ. ჩარლტონმა, რომელიც [illegible] მიდორზე, მეორედ აიღო მეტოქის კარი — 2:1.

ლონდონში ადგილობრივმა „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ მოუგო „ნიუკასლ იუნაიტედს“ — 3:0. გოლები გაიტანეს: პიტერსმა, ჰერსტმა და ბერნმა.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ჩელსი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 1:1, „არსენალი“ — „ფულჰემი“ 1:0, „ასტონ-ვილა“ — „ნოტინგემ ფორესტი“ 1:1, „ბლეკპული“ — „სტოკ-სიტი“ 0:1 „ლესტერ-სიტი“ — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 2:1, „მანჩესტერ-სიტი“ — „ევერტონი“ 1:0, „შეფილდ უენსდეი“ — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ 1:0, „სანდერლენდი“ — „ბერნლი“ 4:3.

სნაიპერთა სიას კვლავ ლიდერობს „ვესტ ჰემის“ თავდამსხმელი ჰერსტი — 19 გოლი.

აი, ლიდერთა ხუთეულიც:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ჩელსი“ (ლონდონი) | 17 | 34:18 | 24 |
| „ლივერპული“ | 17 | 33:22 | 23 |
| „მანჩესტერ იუნაიტ“. | 16 | 30:24 | 23 |
| „სტოკ-სიტი“ | 17 | 26:15 | 22 |
| „ევერტონი“ | 17 | 25:20 | 21 |

### „სელტიკი“ — გლადიატორთა გუნდი

არც ერთხელ არ წაუგია შოტლანდიის ჩემპიონს — გლაზგოს „სელტიკს“ წლევანდელი პირველობის გათამაშებაში. შაბათს დანფერმლაინში იგი შეხვდა ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდს. პირველივე წუთებზე მასპინძლები დაწინაურდნენ — 2:0, მერე კი გლაზგოელთა კაპიტანმა მერდოკმა შეძლო 1 გოლის გაქვითვა. შესვენებამდე მეტოქეებმა თითო გოლი გაიტანეს. მეორე ნახევრის დასაწყისში „დანფერმლაინის“ თავდამსხმელმა ფერგიუსონმა სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა — 4:2. გლაზგოელების მარცხი თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ ისინი გააფთრებით იბრძოდნენ და ოულდისა და მაკ-ბრაიდის დარტყმების შემდეგ ანგარიში გაათანაბრდა — 4:4. ეს კიდევ არაფერი: მატჩის მიწურულში, გლაზგოელთა მორიგი შეტევის დროს, მასპინძლებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე წააქციეს მაკ-ბრაიდი და „დაზარალებულმა“ 11-მეტრიანი დარტყმით თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა — 5:4!

„დაუვიწყარი მატჩი“, „სელტიკის“ ყველაზე ძნელი გამარჯვება“, „სელტიკი“ — გლადიატორთა გუნდი“ — აი, ასეთი სათაურებით გამოეხმაურა ამ უაღრესად საინტერესო მატჩს ბრიტანული პრესა.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „აბერდინი“ — „პარტიკი“ 5:2, „კლაიდი“ — „ეირდრიონიენსი“ 1:0, „დანდი“ — „ჰიბერნიენი“ 2:1, „ჰართ ოვ მიდლოტიენი“ — „სენტმირენი“ 4:0, „კილმარნოკი“ — „ფოლკერკი“ 3:0, „მადერუელი“ — „დანდი იუნაიტედი“ 1:1, „გლაზგო რეინჯერსი“ — „ეირ იუნაიტედი“ 4:0, „სტერლინგ ალბიონი“ — „სენტ-ჯონსტონი“ 2:1.

11 ტურის შემდეგ 21 ქულით ლიდერობს „სელტიკი“. II ადგილზეა „გლაზგო რეინჯერსი“ — 18 ქულა.

### კვლავ „სპარტაკი“

ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატის XIII ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობს „სპარტაკი“ (ტრნავა).

საუკეთესო სნაიპერთა სიას სათავეში უდგას ადამეცი („დუკლა“) — 13 გოლი.

აი, ლიდერთა ხუთეულიც:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ტრნავა) | 13 | 31:12 | 19 |
| „სლავია“ (პრაღა) | 13 | 24:18 | 18 |
| „დუკლა“ (პრაღა) | 13 | 33:12 | 17 |
| „სლოვანი“ (ბრატ.) | 13 | 17:10 | 17 |
| „სპარტა“ (პრაღა) | 13 | 28:16 | 16 |

### დათოვლილ მინდვრებზე

პოლონეთის პირველობა დათოვლილ მინდვრებზე ტარდება. მორიგ, XI ტურში, ქვეყნის ჩემპიონმა — ზაბჟეს „გურნიკმა“ დაამარცხა „შომბიერკი“ — 3:1. კრაკოვში გათამაშების ლიდერმა — სოსნოვეცის „ზაგლემბიემ“ მოუგო ადგილობრივ „ვისლას“ — 4:0. 3 გოლის ავტორია პიეციკი.

ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ზაგლემბიე“ | 11 | 28:11 | 17 |
| „გურნიკი“ (ზაბჟე) | 11 | 21:11 | 16 |
| „რუხი“ (ხოჟუვი) | 11 | 23:13 | 14 |

### „რესინგი“?

არგენტინის ჩემპიონატის დამთავრებამდე 2 ტური დარჩა, მაგრამ ბუენოს-აირესის „რესინგის“ გამარჯვებაში არავის ეპარება ეჭვი. იგი 3 ქულით უსწრებს „რივერ პლეიტს“ და შვიდით — „ბოკა ხუნიორსს“. საყურადღებოა, რომ სეზონის დაწყებიდან „რესინგი“ მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. გუნდს წვრთნის წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ხოსე პიცუტი. პრესას მიაჩნია, რომ გუნდის წარმატებაში პიცუტიმ პირველხარისხოვანი როლი შეასრულა და გულშემატკივრები „რესინგს“ ტყუილად როდი უწოდებენ „ხოსეს გუნდს“. „რესინგში“ განსაკუთრებით გამოირჩევა მარცხენა გარემარბი მასხიო (იგი წლების განმავლობაში იტალიაში თამაშობდა), რომელიც გუნდის ვეტერანიცაა და მთავარი დირიჟორიც.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სპორტკავშირი და „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან დუშეთის სპორტკავშირის თავმჯდომარის

**სერგო კონსტანტინეს ძე ხუროძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე.06136